

ადამიანის უფლება ევროპული სასამართლო

მესამე სექცია

საქმე პანტელეიენკო უკრაინის წინააღმდეგ

(განაცხადი 11901/02)

გადაწყვეტილება

სტრასბურგი

2006 წლის 29 ივნისი

საქმეზე პანტელეიენკო უკრაინის წინააღმდეგ,
ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ (მეხუთე სექცია),
რომლის პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

ბ-ნი პ. ლორენცენი, *თავმჯდომარე,*
ქ-ნი ს. ბუტუჩარობა,
ბ-ნი ვ. ბუტკევიჩი,
ქ-ნი მ. ცაცა-ნიკოლოვსკა,
ბ-ნი რ. მარუსტე,
ბ-ნი ჯ. ბორეგო-ბორეგო,
ქ-ნი რ. ჯაგერი, *მოსამართლეები,*
და ბ-ნი ს. ვერტერდიკი, *სექციის რეგისტრატორი,*
2006 წლის 6 ივნისს განმარტებით ითათბირა,
გამოიტანა შემდეგი გადაწყვეტილება, რომელიც მიიღო ამავე დღეს:

პროცედურა

1. საქმეს საფუძვლად დაედო განაცხადი (N11901/02) უკრაინის წინააღმდეგ, რომელიც 2001 წლის 30 ნოემბერს შეიტანა სასამართლოში ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის („კონვენცია“) 34-ე მუხლის შესაბამისად უკრაინის მოქალაქემ, ბ-მა ოლექსანდრე სერგიოვიჩ პანტელეიენკომ („განმცხადებელი“).

2. უკრაინის მთავრობას („მთავრობა“) წარმოადგენენ მისი აგენტები, ქ-ნი ვალერია ლუტკოვსკა და ბ-ნი იური ზაიცევი.

2005 წლის 15 მარტს სასამართლომ გადაწყვიტა მთავრობისათვის შეეტყობინებინა განაცხადის შესახებ. კონვენციის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის დებულებათა შესაბამისად, მან გადაწყვიტა, რომ განაცხადის არსებითი მხარე განეხილა მისი დასაშვებობის განხილვასთან ერთად.

ფაქტები

I. საქმის ბარემოვებები

4. განმცხადებელი დაბადებულია 1960 წელს და ცხოვრობს ქალაქ ჩერნიგოვში.

1. განმცხადებლის სისხლის სამართლის საქმე და მისგან გამომდინარე სამართალწარმოება

a. სისხლისსამართლებრივი ბრალდება განმცხადებლის წინააღმდეგ

5. 1999 წლის 3 მაისს ქ. ჩერნიგოვის პროკურატურამ (შემდგომში: პროკურატურა) აღძრა სისხლის სამართლის საქმე განმცხადებლის

წინააღმდეგ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და ოფიციალური დოკუმენტების გაყალბების შესახებ. საქმე ეხებოდა იმას, რომ განმცხადებელმა, რომელიც კერძო ნოტარიუსის ფუნქციებს ასრულებდა გაყალბებული გზით დაამტკიცა საკუთრების უფლება და გარიგება უძრავი ქონების შესახებ, რისთვისაც გამოიყენა გაუქმებული სარეგისტრაციო ფორმები.

6. 1999 წლის 21 მაისს ჩერნიგოვის ქალაქის პროკურორმა გამოსცა განმცხადებლის სამსახურებრივი სათავეს ჩხრეკის ორდერი. ჩხრეკა განხორციელდა იმავე დღეს. ამ ღონისძიებასთან დაკავშირებით შედგენილი ანგარიშის მიხედვით, ხელისუფლებამ სამსახურებრივი სათავესა და ამოიღო სანოტარო ბეჭდები და დოკუმენტები, საბუღალტრო საბუთები და მეტალის სეიფი. ეს უკანასკნელი გაიხსნა 1999 წლის 2 ივლისს პროკურატურაში. შესაბამისი ჩანაწერი ცხადყოფს, რომ აღმოჩენილ იქნა, *inter alia*, პირადი ნივთები, რომლებიც ეკუთვნოდა განმცხადებელს.

7. 1999 წლის 28 ივლისს პროკურატურის გამომძიებელმა დახურა განმცხადებლის სისხლის სამართლის საქმე რაიმე *corpus delicti*-ის არარსებობის გამო.

8. 2000 წლის 20 სექტემბერს ჩერნიგოვის ქალაქის პროკურორის მოვალეობის შემსრულებელმა გააუქმა გამომძიებლის გადაწყვეტილება, რადგან დამტკიცდა, რომ განმცხადებელმა ჩაიდინა შერაცხული დანაშაული, მაგრამ გასცა ბრძანება სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ დანაშაულის უმნიშვნელო ხასიათის გამო. განმცხადებელმა სადავოდ გახადა ეს ღონისძიება იმის მტკიცებით, რომ მას არ ჩაუდენია რაიმე დანაშაული. 2000 წლის 21 დეკემბერს ქ. ჩერნიგოვის დესნიანსკის რაიონულმა სასამართლომ (შემდგომში: „დესნიანსკის სასამართლო“) უარი განაცხადა განმცხადებლის საჩივარზე.

9. 2001 წლის 26 თებერვალს ჩერნიგოვის საოლქო სასამართლოს პრეზიდიუმმა, საზედამხედველო სამართალწარმოების წესით, გააუქმა დესნიანსკის სასამართლოს გადაწყვეტილება და დააბრუნა საქმე.

10. 2001 წლის 4 აპრილს დესნიანსკის სასამართლომ გააუქმა ქალაქის პროკურორის 2000 წლის 20 სექტემბრის ბრძანება და გასცა ბრძანება შემდგომი მოკვლევის ჩატარების შესახებ.

11. 2001 წლის 26 მაისს გამომძიებელმა შეწყვიტა სისხლის სამართლებრივი სამართალწარმოება არსებითად იმავე საფუძველზე, როგორც ეს მოხდა 2000 წლის სექტემბრის ბრძანებით. 2001 წლის 4 ივლისს ჩერნიგოვის ქალაქი პროკურორმა გააუქმა ეს გადაწყვეტილება და გასცა ბრძანება საქმეზე შემდგომი მოკვლევის ჩატარების შესახებ.

12. 2001 წლის 4 აგვისტოს სისხლის სამართლის საქმე დაიხურა ჩადენილი დანაშაულის უმნიშვნელო ხასიათის გამო. დესნიანსკის სასამართლომ 2001 წლის 6 ნოემბერს განმცხადებელს ამ ბრძანებასთან დაკავშირებით უარი უთხრა საჩივარზე, დაუსაბუთებულობის გამო. კერძოდ, სასამართლომ მიუთითა, რომ განმცხადებლის ბრალი დამტკიცდა გამომძიებლის მსვლელობისას შეგროვებული მტკიცებულებით.

13. 2002 წლის 24 იანვარს ჩერნიგოვის საოლქო სააპელაციო სასამართლომ (შემდგომში: „სააპელაციო სასამართლო“) გააუქმა 2001 წლის 6 ნოემბრის გადაწყვეტილება რადგან ადგილობრივმა სასამართლომ ვერ შეძლო, დაეზუსტებინა ის მტკიცება, რომელიც ადასტურებდა მის პოზიციას განმცხადებლის ბრალეულობის შესახებ. საქმე დაბრუნდა ხელახლა განსახილველად.

14. 2002 წლის 26 ივნისს დესნიანსკის სასამართლომ უარი განაცხადა განმცხადებლის საჩივარზე 2001 წლის 4 აგვისტოს ბრძანებასთან დაკავშირებით. სასამართლომ მიუთითა, რომ საქმის გამოძიების მასალა შეიცავს საკმარის მტკიცებულებას, რომ დაედგინათ, რომ განმცხადებელმა გააყალბა ზოგიერთი სანოტარო დოკუმენტი და წინასწარგანზრახულად ჩაიდინა იურიდიული ძალის არმქონე ნოტარიალური მოქმედებები, თუმცა, დანაშაულის უმნიშვნელო ხასიათის გათვალისწინებით, მომდევნო სისხლისსამართლებრივი დევნა არამიზანშეწონილად ჩაითვადა. რაც შეეხება განმცხადებლის მტკიცებას მისი სამსახურებრივი სათავესო ჩხრეკის დროს მოპოვებული მტკიცებულების დაუშვებლობის შესახებ, სასამართლომ დაადგინა, რომ ასეთი საჩივარი შეიძლება წამოყენებულ იქნეს სასამართლოს მიერ საქმის არსებითი მხარის განხილვის დროს და მიიჩნია, რომ არ იყო უფლებამოსილი, განეხილა ის იმის წინაშე მიმდინარე პროცესის დროს.

2002 წლის 9 სექტემბერს სააპელაციო სასამართლომ დაადასტურა ეს გადაწყვეტილება. 2002 წლის 13 დეკემბერს უზენაესმა სასამართლომ უარი განაცხადა განმცხადებლის თხოვნაზე, მიეღო ნებართვა აპელაციაზე საკასაციო პროცედურის მიხედვით.

b. კომპენსაციასთან დაკავშირებული სამართალწარმოება

15. 2000 წლის იანვარში განმცხადებელმა შეიტანა სარჩელი პროკურატურის წინააღმდეგ იმის მოთხოვნით, რომ მიეღო ფულადი კომპენსაცია მატერიალური და მორალური ზიანისათვის, რომელიც მან განიცადა თავისი სამსახურებრივი სათავესო სავარაუდოდ უკანონო ჩხრეკის შედეგად (ანუ, პირადი ნივთების დაკარგვა ან დაზიანება და მისი პროფესიული საქმიანობისათვის აუცილებელი დოკუმენტების ამოღება).

16. 2000 წლის 28 აგვისტოს ქ. ჩერნოგოვის ნოვოზავოცკის რაიონულმა სასამართლომ (შემდგომში: „ნოვოზავოცკის სასამართლო“) დააკმაყოფილა მოთხოვნა. სასამართლომ განაცხადა, რომ განმცხადებლის სამსახურებრივი სათავესო ჩხრეკა „განხორციელდა უკანონოდ“ (*вызнати проведення обшуку незаконним*). კერძოდ, მან დაადგინა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (შემდგომში: „სსსკ“) 183-ე მუხლის დარღვევით გამოძიებულმა, რომელმაც იცოდა განმცხადებლის ადგილსამყოფელი (ამ დროს ის გადიოდა მკურნალობას საავადმყოფოში), არ წარუდგინა მას ჩხრეკის ორდერი. უფრო მეტიც, სსსკ-ს 186-ე მუხლის საწინააღმდეგოდ, ხელისუფლებამ, სისხლის სამართლის საქმეზე არსებული მტკიცებულების შეგროვების ნაცვლად, ამოიღო ყველა ოფიციალური დოკუმენტი და განმცხადებლის სამსახურებრივ სათავესოში

არსებული ზოგიერთი პირადი ნივთი. ამან ფაქტობრივად შეუძლებელი გახადა, რომ განმცხადებელს შეესრულებინა თავისი პროფესიული მოვალეობები 1999 წლის 6 აგვისტომდე, სანამ შესაბამისი დოკუმენტები და ნივთები მას დაუბრუნდებოდა. სასამართლომ მიაკუთვნა განმცხადებელს 14,140 UAH¹ მატერიალური და 1,000² მორალური ზიანისათვის.

17. 2001 წლის 16 იანვარს ჩერნიგოვის რაიონულმა სასამართლომ, პროკურატურის გასაჩივრების საფუძველზე, გააუქმა 2000 წლის 28 აგვისტოს გადაწყვეტილება და დააბრუნა საქმე ხელახლა განსახილველად, რადგან გადაწყვეტილების სამართლებრივმა საფუძველმა (კერძოდ, სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტა „მარეაბილიტირებელი“ საფუძველით) შეტყეობა მოქმედება.

18. 2001 წლის 26 დეკემბერს ნოვოზავოცკის სასამართლომ განიხილა განმცხადებლის მოთხოვნა და უარი განაცხადა მასზე დაუსაბუთებულობის გამო. სასამართლომ, პროკურატურის 2001 წლის 4 აგვისტოს ბრძანებაზე დაყრდნობით, დაადგინა, რომ განმცხადებლის საქმე დაიხურა არამარეაბილიტირებელ საფუძველზე „მოკვლევის, წინასწარი გამოძიების, პროკურატურისა და სასამართლო უკანონო მოქმედებებით მოქალაქეებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების პროცედურის შესახებ“ უკრაინის 1994 წლის კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად და, აქედან გამომდინარე, განმცხადებელს არ აქვს უფლება, მოითხოვოს კომპენსაცია რაიმე მოქმედებისა ან უმოქმედობისათვის, რომელიც შეიძლება ჩადენილი ყოფილიყო ხელისუფლების ორგანოების მიერ გამოძიების პროცესში.

19. 2002 წლის 23 მარტს სააპელაციო სასამართლომ შეაჩერა სააპელაციო სამართალწარმოება გენერალური პროკურატურის 2001 წლის 4 აგვისტოს ბრძანების დაკავშირებით, განმცხადებლის საჩივრის განხილვამდე (ანუ განმცხადებლის სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის საფუძველით). 2003 წლის 3 იანვარს განახლდა სააპელაციო სამართალწარმოება და განმცხადებელს 2001 წლის 26 დეკემბრის განაჩენთან დაკავშირებულ საჩივარზე უარი ეთქვა.

2. სამართალწარმოება წილისწამების შესახებ

20. 2001 წლის დეკემბერში განმცხადებელმა შეიტანა სარჩელი ნოვოზავოცკის სასამართლოში ჩერნიგოვის სამართლის სკოლისა და მისი დირექტორის წინააღმდეგ წილისწამებისათვის. განმცხადებელი ამტკიცებს, რომ საატესტაციო კომისიის 2001 წლის 14 მაისის სხდომის დროს დირექტორმა გააკეთა სამი განცხადება მასზე, რაც იყო წილისწამებლური და შეურაცხყოფელი, მისი გონებრივი ჯანმრთელობის შესახებ უხეში კითხვების ჩათვლით. განმცხადებელი მოითხოვს ბოდიშის მოხდას და კომპენსაციას მიყენებული ზიანისათვის.

¹ 2,315 euros (EUR)

² EUR 165

21. სასამართლო პროცესის დროს განმცხადებლის ერთ-ერთი მთავარი არგუმენტი ის იყო, რომ მას არასოდეს აწუხებდა გონებრივი ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები. ამის დასტურად მან წარმოადგინა დასკვნა, რომელიც სავარაუდოდ გაცემულია ფსიქიატრიული საავადმყოფოს მიერ, რაც ადასტურებს, რომ განმცხადებელი იქ არასოდეს გადიოდა მკურნალობას.

22. საქმეზე მეორე მხარის პოზიციის მიხედვით, დირექტორს არასოდეს გამოუხატავს უხამსობა განმცხადებლის მიმართ. თუმცა, მან დასავლად გახადა ზემოაღნიშნული დასკვნის ნამდვილობა და თხოვა სასამართლოს, გადაამოწმოს განმცხადებლის მტკიცება. 2002 წლის 21 მარტს თხოვნა დაკმაყოფილდა და ჩერნიგოვის რეგიონალურ ფსიქონევროლოგიურ საავადმყოფოს ეთხოვა, მიეწოდებინა ინფორმაცია, გადიოდა თუ არა განმცხადებელი ფსიქიატრიულ მკურნალობას. 2002 წლის 3 აპრილს საავადმყოფომ წარუდგინა სასამართლოს ამის დამადასტურებელი დასკვნა, რომლის მიხედვით რამდენიმე წლის განმავლობაში განმცხადებელი რეგისტრირებული იყო როგორც პირი, რომელსაც აწუხებდა გარკვეული გონებრივი დაავადება და გადიოდა სტაციონალურ მკურნალობას სხვადასხვა ფსიქიატრიულ დაწესებულებაში. თუმცა, რამდენიმე წლით ადრე მისი ფსიქიატრიული რეგისტრაცია გაუქმდა ხანგრძლივი დროის განმავლობაში ავადმყოფობის გამოვლენის შემსუბუქების გამო (ავადმყოფობის სერიოზულობის დროებითი შესუსტება). ეს ინფორმაცია წაიკითხა მოსამართლემ ერთ-ერთ მომდევნო სხდომაზე, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილებაში მითითება ამ მტკიცებაზე არ მომხდარა.

23. 2003 წლის 3 ივლისს ნოვოზავოცკის სასამართლომ უარი განაცხადა განმცხადებლის მოთხოვნაზე დაუსაბუთებულობის გამო. სასამართლომ დაადგინა, *inter alia*, რომ განმცხადებელმა ვერ დაამტკიცა, რომ მოპასუხემ გააკეთა რაიმე განცხადება მისი გონებრივი მდგომარეობის შესახებ.

24. განმცხადებელმა გაასაჩივრა და სადავოდ გახადა, *inter alia*, სასამართლოს მოთხოვნის კანონიერება მისი გონებრივი მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის თაობაზე.

25. 2002 წლის 1 ოქტომბერს სააპელაციო სასამართლომ არსებითად ძალაში დატოვა განაჩენი. იმავე დღეს სასამართლომ გამოსცა სხვა ბრძანება, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს თხოვნა საჯარო საავადმყოფოდან განმცხადებლის გონებრივი ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე ეწინააღმდეგება კონსტიტუციის 32-ე მუხლს, მონაცემების შესახებ 1992 წლის კანონის 23-ე და 31-ე მუხლებს და ფსიქიატრიული სამედიცინო დახმარების შესახებ 2000 წლის კანონის მე-6 მუხლს. კერძოდ, მიეთითა, რომ ინფორმაცია პირის გონებრივი მდგომარეობის შესახებ კონფიდენციაურია და, რომ მის შეგროვებაზე, შენახვაზე, გამოყენებაზე და გავრცელებაზე ვრცელდება სპეციალური რეჟიმი. უფრო მეტიც, სასამართლომ დაადგინა, რომ მოთხოვნილ მტკიცებულებას არ აქვს კავშირი ამ საქმესთან.

ზემოაღნიშნული მოსაზრებების შეჯამებისას, სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ დაბალი ინსტანციის სასამართლოს წევრებს აკლიათ მომზადება კონფიდენციური ხასიათის მონაცემთა დაცვის სფეროში და შეატყობინა სამოსამართლო სწავლების რეგიონულ ცენტრს სასწავლო პროგრამების მეშვეობით ამ ხარვეზის გამოსწორების საჭიროების თაობაზე.

26. 2003 წლის 24 ივნისს უზენაესმა სასამართლომ უარი განაცხადა განმცხადებლის თხოვნაზე, მიეცა ნებართვა გასაჩივრებაზე აპელაციის პროცედურის მიხედვით.

II. შესაბამისი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა

1. უკრაინის 1996 წლის კონსტიტუცია

27. კონსტიტუციის შესაბამისი დებულებები ადგენს შემდეგს:

30-ე მუხლი

„ყველას გარანტირებული აქვს საცხოვრებლის ხელშეუხებლობა.

პირის საცხოვრებელში ან სხვა სათავსოში შეღწევა, მისი შემოწმება ან ჩხრეკა დაუშვებელია, გარდა ისეთი შემთხვევისა, რომელიც გათვალისწინებულია დასაბუთებული სასამართლო გადაწყვეტილებით.

გადაუდებელ შემთხვევებში, რომელიც უკავშირდება ადამიანის სიცოცხლისა და საკუთრების შენარჩუნებას ან იმ პირთა უშუალო დევნას, რომლებიც ეჭვმიტანილები არიან დანაშაულის ჩადენაში, დაიშვება პირის საცხოვრებელში ან სხვა სათავსოში შეღწევის, შემოწმებისა და ჩხრეკის კანონით გათვალისწინებული სხვა წესი.

32-ე მუხლი

არავის პირადი და ოჯახური ცხოვრება არ შეიძლება დაექვემდებაროს ჩარევას, გარდა უკრაინის კონსტიტუციით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

დაუშვებელია პირის ნებართვის გარეშე კონფიდენციური ინფორმაციის შეგროვება, შენახვა, გამოყენება და გავრცელება, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, და მხოლოდ ეროვნული უშიშროების, ეკონომიკური კეთილდღეობის და ადამიანის უფლებათა ინტერესებისათვის...“

2. 1960 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

28. კოდექსის მე-6 მუხლი ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოების შეწყვეტის საფუძვლების ჩამონათვალს, მათ შორის *corpus delicti*-ს არარსებობა. კოდექსის მე-7 მუხლი ადგენს, რომ საქმე შეიძლება დაიხუროს ჩადენილი დანაშაულის უმნიშვნელო ხასიათის გამო.

კოდექსის 327 მუხლის მე-4 პუნქტი ადგენს, რომ საქმის განმხილველი სასამართლო ამართლებს მოპასუხეს შემდეგ შემთხვევებში:

- თუ დანაშაულის ფაქტი არ დადგინდა;
- თუ მოპასუხის მოქმედება არ შეადგენს რაიმე *corpus delicti*-ს;
- თუ არ არსებობს საკმარისი მტკიცებულება, რომ მოპასუხეს შეხება აქვს დანაშაულთან.

იგივე გარემოებები, რომელსაც ეწოდება „მარეაბილიტირებელი გარემოებები“ (*реабилитирующие обстоятельства*) არის კომპენსაციის საფუძველი უკანონო დევნისათვის (იხ. ქვემოთმოყვანილი 35-ე პუნქტი). სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოების შეწყვეტის დანარჩენ საფუძვლებს, რომლებიც ჩამოყალიბებულია კოდექსის მე-6, მე-7 და მე-7(1) პუნქტებში (დანაშაულის უმნიშვნელო ხასიათის ჩათვლით) ეწოდება „არამარეაბილიტირებელი გარემოებები“ (*нерабилитирующие обстоятельства*) და არ წარმოშობს კომპენსაციის მიღების უფლებას გამოძიების დროს ხელისუფლების ორგანოების მიერ ჩადენილი რაიმე სავარაუდო უკანონოებისათვის.

29. კოდექსის 212-ე მუხლი უზრუნველყოფს, რომ გამოძიების დასრულებისთანავე, გამომძიებელი ამზადებს ბრალდებას ან წყვეტს საქმეს.

კოდექსის 213-ე მუხლის მიხედვით, საქმე შეიძლება დაიხუროს გამომძიებლის მიერ როგორც მარეაბილიტირებელი, ისე არამარეაბილიტირებელი საფუძველით.

30. კოდექსის 227-ე მუხლის მე-2 პუნქტი პროკურორს ანიჭებს უფლებამოსილებას, გააუქმოს გამომძიებლის ნებისმიერი გადაწყვეტილება და გასცეს სავალდებულო დავალება საგამომძიებო ორგანოების მისამართით, თუ ის დაასკვნის, რომ პროცესი მიმდინარეობდა პროცესუალური და მატერიალური კანონმდებლობის დარღვევით. თუმცა, პროკურორი არ არის უფლებამოსილი მოპასუხეს აუნაზღაუროს ზიანი დადგენილი უკანონოსათვის, რომელიც ჩადენილი იქნა საგამომძიებო ორგანოების მხრიდან.

31. კოდექსის შესაბამისი დებულებები ადგენს შემდეგს:

177-ე მუხლი

„ჩხრეკა განხორციელდება, თუ არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისათვის, რომ დანაშაულის ჩადენის საშუალებანი ... და სხვა მნიშვნელოვანი ნივთები და დოკუმენტები ინახება კონკრეტულ სათავსოში.“

183-ე მუხლი

ჩხრეკის დაწყებამდე გამომძიებელი წარუდგენს [ჩხრეკის] ორდერს იმ პირებს, რომლებიც იკავებენ სათავსოს ... და შესთავაზებს მათ წარმოადგინოს ნივთები ან დოკუმენტები, რომლებიც მითითებულია ორდერში ... თუ ისინი უარს განაცხადებენ ამაზე, გამომძიებელი ჩაატარებს ჩხრეკას სავალდებულო წესით.

... ჩხრეკის ჩატარების დროს გამომძიებელს უფლება აქვს გახსნას დაკეტილი სათავსო, თუ მფლობელი უარს აცხადებს მის გახსნაზე. თუმცა, გამომძიებელმა თავი უნდა აარიდოს კარების, საკეტის და სხვა საკუთრების მეტისმეტ დაზიანებას...

186-ე მუხლი

ჩხრეკის დროს ... ამოიღება მხოლოდ ის დოკუმენტები და ნივთები, რომლებიც მნიშვნელოვანია საქმისათვის, ისევე როგორც ბრალდებულისა და განსასჯელის საკუთრება, რათა უზრუნველყოფილი იქნეს სამოქალაქო საჩივარი ან შესაძლო კომპენსაციის გაცემა. ნივთები და დოკუმენტები, რომლებიც მოხმარებიდან კანონით არის ამოღებული, ამოიღება მიუხედავად იმისა, კავშირი აქვს თუ არა საქმესთან.

236-ე მუხლის მე-6 ნაწილი

საჩივარი მოკვლევის ორგანოს, გამოძიებლის ან პროკურორის გადაწყვეტილებასთან (ბრძანებასთან) დაკავშირებით, რომ შეტყდეს სისხლისსამართლებრივი საქმე, განიხილება მოსამართლის მიერ 5 ... დღის ვადაში.

მოსამართლე მოითხოვს საქმის მასალებს, სწავლობს მას, და, საჭიროებისამებრ, ისმენს იმ პირს, რომელმაც შეიტანა საჩივარი.

... საქმის განხილვის შედეგად, მოსამართლე, იმის მიხედვით, ამ კოდექსის 213-ე და 214¹-ე მუხლები შესრულდა თუ არა, იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

- 1) უარს აცხადებს საჩივარზე;
- 2) აუქმებს ბრძანებას ... და აბრუნებს საქმეს ხელახალი გამოძიებისათვის. “

3. 1963 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

32. კოდექსის მე-10 მუხლი აღგენს:

ყველა სასამართლოში მოსმენა არის საჯარო, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ეს ეწინააღმდეგება კანონით გათვალისწინებულ სახელმწიფოს დაცვის ან სხვა ინტერესებს.

In camera განხილვაში მონაწილეობენ მხარეები და მათი წარმომადგენლები ... და, საჭიროებისამებრ, თვითმხილველები, ექსპერტები და თარჯიმნები.

In camera განხილვა ხდება ყველა პროცესუალური წესის შესაბამისად. განაჩენი ყველა შემთხვევაში ცხადდება საჯაროდ.

4. 1992 წლის კანონი მონაცემთა შესახებ

33. კანონის შესაბამისი დებულებები აღგენს:

23-ე მუხლი

„პირადული ინფორმაციაა დოკუმენტურად თუ საჯაროდ გამოვლენილი მონაცემების ერთობლიობა პირის შესახებ.

ძირითადი პირადი მონაცემია ჯანმრთელობის მდგომარეობა.

¹ სისხლის სამართლის კოდექსის მუხლები ეხება სასამართლო განხილვის ეტაპამდე საქმის შეწყვეტის პროცედურას.

დოკუმენტური პირადი ხასიათის ინფორმაციის წყაროა ის დოკუმენტები, რომლებიც გაიცა პირის თხოვნის შესაბამისად და ხელმოწერილია მის მიერ, ისევე როგორც მონაცემები პირის შესახებ, რომლებიც შეგროვებულია სახელმწიფო და მუნიციპალური ხელისუფლების მიერ, რომლებიც მოქმედებდნენ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში.

დაუშვებელია პირის შესახებ მონაცემების შეგროვება მისი ნებართვის გარეშე, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

31-ე მუხლი

სახელმწიფო ხელისუფლება და ორგანიზაციები, მუნიციპალური და ადგილობრივი ხელისუფლება, რომელთა საინფორმაციო სისტემა ინახავს მონაცემებს მოქალაქეების შესახებ, ვალდებული არიან, უზრუნველყონ, რომ მათ შეუზღუდავად მიუწვდებოდეთ ხელი ამ ინფორმაციაზე, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ისევე როგორც უზრუნველყონ მისი დაცვა არაუფლებამოსილი პირებისაგან.

დაუშვებელია არაუფლებამოსილი პირის მიერ სხვა პირის შესახებ ისეთი ინფორმაციის მოპოვება, რომელიც შეგროვებულია სახელმწიფო ხელისუფლების, ორგანიზაციისა და საჯარო მოხელის მიერ კანონის შესაბამისად.

... მოქალაქის შესახებ მონაცემთა აუცილებელი მოცულობა, რომელიც შეიძლება კანონიერად იქნეს მიღებული, უნდა იყოს მკაცრად შეზღუდული და შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ კანონიერი მიზნებისათვის.

37-ე მუხლი

შემდეგ ოფიციალური დოკუმენტებზე არ ვრცელდება საერთო წესი ინფორმაციის საგაღებელი წარდგენის შესახებ:

... კონფიდენციური ინფორმაცია;

... ინფორმაცია, რომელიც ეხება მოქალაქეთა პირად ცხოვრებას.“

5. 2000 წლის კანონი ფსიქიატრიული სამედიცინო დახმარების შესახებ

34. კანონის მე-6 მუხლის შესაბამისი ნაწილი ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად:

„სამედიცინო პერსონალის წევრებს ... რომელთათვის თავიანთი სამსახურის ან სწავლის გამო ცნობილი გახდა პირის გონებრივი აშლილობის შესახებ, ფსიქიატრიული დახმარების შესახებ მისი თხოვნის თაობაზე ან ფსიქიატრიულ დაწესებულებებში მკურნალობის შესახებ ... ისევე როგორც ინფორმაცია პირის გონებრივი მდგომარეობის შესახებ, პირადი ცხოვრების შესახებ, არ შეუძლიათ ამ ინფორმაციის გამჟღავნება, გარდა ... ამ მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა.

... ინფორმაციის გავრცელება პირის გონებრივი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ და მისთვის ფსიქიატრიული დახმარების აღმოჩენა შეიძლება განხორციელდეს პირის თანხმობის გარეშე, თუ

... 2) ეს მნიშვნელოვანია მოკვლევისათვის, წინასწარი გამოძიებისათვის ან სასამართლო განხილვისათვის, მოსამართლისაგან ... წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში.

დოკუმენტები, რომლებიც შეიცავენ ინფორმაციას პირის გონებრივი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ და მისთვის ფსიქიატრიული დახმარების აღმოჩენის შესახებ უნდა ინახებოდეს იმ მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ ინფორმაციის კონფიდენციაურობას. ამ დოკუმენტების დედნების წარდგენა და მისი ასლების გადაღება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ კანონის შესაბამისად.“

6. უკრაინის 1994 წლის კანონი „მოკვლევის, წინასწარი გამოძიების, პროკურატურისა და სასამართლოს უკანონო მოქმედებებით მოქალაქეებისათვის მიყენებული ზიანის ანაზრაურების პროცედურის შესახებ“

35. კანონის შესაბამისი ამონარიდი ადგენს:

„კომპენსაციის უფლება ზიანისათვის ამ კანონით დადგენილი მოცულობითა და პროცედურის შესაბამისად წარმოიშობა ისეთ შემთხვევებში, როგორიცაა:

- პირის გამართლება სასამართლოს მიერ;

- სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტა დანაშაულის ფაქტის არარსებობის, *corpus delicti*-ის არარსებობის ან დანაშაულის ჩადენაში ბრალდებულის მონაწილეობის არასაკმარისი მტკიცების საფუძველზე.“

სამართალი

I. მთავრობის წინასწარი შეპასუხება

1. სისხლის სამართლის საქმე

36. მთავრობამ უშუამდგომლა, რომ არ დაკმაყოფილდა ექვსი თვის წესი და არ ამოწურულა შიდასახელმწიფოებრივი დაცვის საშუალებები. ის აცხადებდა, რომ დესნიანსკის სასამართლომ 2000 წლის 21 დეკემბერს (ანუ ექვს თვეზე უფრო დიდი დროის წინ, ვიდრე განაცხადს შეიტანდნენ სასამართლოში) გამოიტანა საბოლოო განაჩენი განმცხადებლის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეზე, რაც სადავოდ არ გაუხდია განმცხადებელს გასაჩივრების ჩვეულებრივი წესით. მთავრობა ამტკიცებდა, რომ ამ გადაწყვეტილების მოგვიანებითი გაუქმება უნდა იყოს მხედველობაში მიღებული, რაც განხორციელდა საზედამხედველო გადასინჯვის წესით. განმცხადებელი არ დაეთანხმა.

37. სასამართლო აღნიშნავს, რომ 2001 წლის 26 თებერვალს, განმცხადებლის თხოვნის შედეგად, ჩერნიგოვის საოლქო სასამართლოს პრეზიდიუმმა გააუქმა დესნიანსკის სასამართლოს ზემოხსენებული გადაწყვეტილება და განაახლა სამართალწარმოება განმცხადებლის

სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით. მოგვიანებით, 2002 წლის 26 ივნისს დესნიანსკის სასამართლომ მიიღო ახალი განაჩენი ამ საქმეზე, რომელმაც სავარაუდოდ შეცვალა ის გადაწყვეტილება, რომელიც მოიშველია მთავრობამ და დამტკიცდა აპელაციაზე და საკასაციო ინსტანციაში, შესაბამისად 2002 წლის 9 სექტემბერსა და 2002 წლის 13 დეკემბერს. მთავრობამ ვერ წარმოადგინა რაიმე არგუმენტი, რატომ უნდა მოახდინოს ევროპულმა სასამართლომ ამ სამართალწარმოებათა იგნორირება (cf. *Pavlyulynets v. Ukraine*, no. 70767/01, 41-ე და 42-ე პუნქტები, 2005 წლის 6 სექტემბერი).

38. შესაბამისად, სასამართლო უარყოფს ამ შეპასუხებას.

2. სამოქალაქო საქმე

39. მთავრობა ამტკიცებდა, რომ განმცხადებელმა ვერ ამოწურა შიდასახელმწიფოებრივი საშუალებები, რადგან მას არასოდეს უთხოვია საქმის განმხილველ ან სააპელაციო სასამართლოსათვის თავისი საქმის დახურულ სხდომაზე განხილვა, რისი უფლებაც მას ჰქონდა შიდასახელმწიფოებრივი პროცესუალური კანონმდებლობით. განმცხადებელი დაცვის ამ საშუალებას არაეფექტიანად მიიჩნევს.

40. სასამართლო აღნიშნავს, რომ ეს შეპასუხება მჭიდრო კავშირშია განმცხადებლის შესაბამის საჩივართან კონვენციის მე-8 და მე-13 მუხლებთან მიმართებით. ასეთ გარემოებებში, სასამართლო წინასწარ შეპასუხებას აერთიანებს განმცხადებლის საჩივრის საქმის არსებით მხარესთან.

3. დასკვნა

41. სასამართლო აღნიშნავს, რომ განაცხადი არ არის აშკარად დაუსაბუთებელი კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის გაგებით. ის ასევე აღნიშნავს, რომ განაცხადი არ არის დაუშვებელი რაიმე სხვა საფუძველით.

II. კონვენციის მე-8 მუხლის სავარაუდო დარღვევა

42. განმცხადებელი ასაჩივრებდა, რომ მისი სამსახურებრივი სათავსოს უკანონო ჩხრეკამ და მისი გონებრივი მდგომარეობისა და ფსიქიატრიული მკურნალობის შესახებ კონფიდენციური ინფორმაციის გამოაშკარავებამ სასამართლო სხდომაზე დაარღვია კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული მისი უფლებები, რომლის შესაბამისი ნაწილი შემდეგნაირად არის ჩამოყალიბებული:

„1. ყველას აქვს უფლება, პატივი სცენ მის პირად ... ცხოვრებას, მის საცხოვრებელსა და მიმოწერას.

2. დაუშვებელია ამ უფლების განხორციელებაში საჯარო ხელისუფლების ჩარევა, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ასეთი ჩარევა ხორციელდება კანონის შესაბამისად და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ... უწესრიგობისა ან დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ...“

A. განმცხადებლის სამსახურებრივი სათავსოს ჩხრეკა

1. მხარეთა პოზიციები

43. მთავრობა თანხმდებოდა, რომ სადავო ჩხრეკამ შეზღუდა განმცხადებლის საცხოვრებლის პატივისცემის უფლება, მაგრამ ამტკიცებდა, რომ, ვინაიდან შესაბამისი სათავსო გამოიყენებოდა განმცხადებლის მიერ მხოლოდ და მხოლოდ სამსახურებრივი მიზნებისათვის, სახელმწიფოს შეფასების ფარგლები უფრო ფართოა, ვიდრე ეს იქნებოდა საცხოვრებლის ჩხრეკის შემთხვევაში. ის ასევე ამტკიცებდა, რომ ჩარევა იყო კანონის შესაბამისად, კერძოდ, სსკ-ის მე-16 თავთან.

44. მიუხედავად შესაბამის დროს ჩხრეკა ნებადართული იყო პროკურორის და არა მოსამართლის მიერ, განმცხადებელს მაინც ჰქონდა სსკ-ის გათვალისწინებული უფლებათა დაცვის ფართო სპექტრი. კერძოდ, ჩხრეკა უნდა განხორციელდეს ორი მოწმისა და იმ პირის თანდასწრებით, ვინც იკავებს სათავსოს ან, მისი არყოფნის შემთხვევაში, სახელმმართველობის წარმომადგენლის თანდასწრებით.

45. მთავრობა ამტკიცებდა, რომ ჩხრეკა ისახავდა დანაშაულის თავიდან აცილების კანონიერ მიზანს და აუცილებელი იყო დემოკრატიულ საზოგადოებაში.

46. განმცხადებელი ეწინააღმდეგებოდა ამ მტკიცებას და აცხადებდა, რომ მისი სამსახურებრივი სათავსოს ჩხრეკა არც კანონიერი იყო და არც რაიმე კანონიერ მიზანს ისახავდა, რადგან მას არასოდეს ჩაუდენია დანაშაული, რომელიც მას შეერაცხა ხელისუფლების მიერ.

2. სასამართლოს შეფასება

47. ვინაიდან მთავრობა ამტკიცებდა, რომ სახელმწიფოს აქვს შეფასების უფრო ფართო ფარგლები *vis-à-vis* სამსახურებრივი სათავსოს მიმართ, ვიდრე საცხოვრებლის მიმართ, სასამართლო არ თვლის საჭიროდ, იმსჯელოს ამ საკითხზე, რადგან მისი შედეგი არაფრის მომცემი იქნება ამ საქმეში. სასამართლოსათვის საკმარისია იმის დადგენა (და ეს იყო საერთო საფუძველი) განმცხადებლის სამსახურებრივი სათავსოს ჩხრეკა ნებისმიერ შემთხვევაში შეადგენს თუ არა ჩარევას მისი საცხოვრებლის პატივისცემის უფლებაში, კონვენციის მე-8 მუხლის გაგებით (cf. *Niemietz v. Germany*, 1992 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილება, *Series A* no. 251-B, 30-ე პუნქტი; *Roemen and Schmit v. Luxembourg*, no. 51772/99, 64-ე პუნქტი, ECHR 2003-IV; და *Ernst and Others v. Belgium*, no. 33400/96, 109-ე პუნქტი, 2003 წლის 15 ივლისი).

48. კითხვა, რომელსაც პასუხი უნდა გაეცეს არის, გამართლებულია თუ არა ასეთი ჩარევა მე-8 მუხლის მე-2 პუნქტით და უფრო კონკრეტულად, ღონისძიება არის თუ არა „კანონის შესაბამისად“ ამ პუნქტის მიზნებისათვის.

49. სასამართლო ადასტურებს, რომ გამოთქმა „კანონის შესაბამისად“, რომელიც გათვალისწინებულია მე-8 მუხლის მე-2 პუნქტით არსებითად მიუთითებს ეროვნულ კანონმდებლობაზე და ადგენს მასთან მატერიალური და პროცესუალური წესების შესაბამისობის ვალდებულებას (*mutatis mutandis, Elci and Others v. Turkey*, nos. 23145/93 და 25091/94, 697-ე პუნქტი, 2003 წლის 13 ნოემბერი).

50. წინამდებარე საქმეში სასამართლო პირველ რიგში აღნიშნავს, რომ განმცხადებელს ბრალი წაყენა უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებასა და ოფოციალური დოკუმენტების გაყალბებაში, ანუ დანაშაულში, რომელიც დასჯადია 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსით. სისხლის სამართლის დანაშაულის დასადგენად, სსსკ-ის მე-16 თავი ითვალისწინებს, რომ შეიძლება განხორციელდეს ჩხრეკა „თუ არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისათვის, რომ დანაშაულის ჩადენის საშუალებანი ... და სხვა მნიშვნელოვანი ნივთები და დოკუმენტები ინახება კონკრეტულ სათავსოში“. სსსკ შეიცავს საცხოვრებლის პატივისცემის უფლებაში ხელისუფლების მხრიდან უკანონო ჩარევისაგან დაცვის გარანტიებს, *inter alia*, პირისათვის, რომელიც იკავებს სათავსოს წინასწარ ჩხრეკის ორდერის წარდგენილი ვალდებულებისა და ისეთი დოკუმენტისა და ნივთის ამოღების აკრძალვის ჩათვლით, რომელსაც არ აქვს პირდაპირი შეხება საქმესთან, რომელსაც იძიებენ (ზემოხსენებული 28-ე პუნქტი).

51. მიუხედავად ამისა, სასამართლო თვლის, რომ 2000 წლის 28 აგვისტოს ნოვოზავოცკის სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო ჩხრეკა „განხორციელდა უკანონოდ“ იმის გამო, რომ ხელისუფლებამ არ დააკმაყოფილა ზემოხსენებული საკანონმდებლო გარანტიები (ზემოხსენებული მე-16 პუნქტი). ამდენად, სახელმწიფოს თანამდებობის პირები, მიუხედავად იმისა, რომ მათ იცოდნენ განმცხადებლის ადგილსამყოფელი, არ შეეცადნენ, წარედგინათ ჩხრეკის ორდერი მისთვის. უფრო მეტიც, გამოძიებისათვის საჭირო მტკიცებულების შერჩევის ნაცვლად, მათ ამოიღეს ყველა დოკუმენტი სათავსოდან და ცალკეული პირადი ნივთები, რომლებიც ეკუთვნოდა განმცხადებელს და რომლებსაც აშკარად არ ჰქონდათ შეხება სისხლის სამართლის საქმესთან.

52. აღსანიშნავია, რომ ამ დასკვნის არსებითი მხარე არასოდეს უარყვია ზემდგომ სასამართლოს, მიუხედავად იმისა, რომ ეს გადაწყვეტილება შემდგომში გაუქმდა სხვა საფუძველით (ზემოხსენებული მე-17 მუხლი). უფრო მეტიც, მთავრობამ თავის მოსაზრებაში კითხვის ნიშნის ქვეშ არ დააყენა ეს დასკვნები ან წარმოადგინა საწინააღმდეგო მტკიცებულება.

53. ასეთ გარემოებებში, სასამართლო ასკვნის, რომ ვერ დამტკიცდა, რომ ჩარევა იყო „კანონის შესაბამისად“ და რომ, შესაბამისად, დადგინდა, რომ ამ საფუძველით დაირღვა მე-8 მუხლი. ამ დასკვნის გათვალისწინებით,

სასამართლო არ მიიჩნევს აუცილებლად, განიხილოს ჩარევის გამართლების საკითხი, რომელიც წარმოიშობა ამ დებულების მიხედვით.

B. კონფიდენციური ფსიქიატრიული ინფორმაციის გახმაურება

1. მხარეთა პოზიციები

54. მთავრობა ამტკიცებდა, რომ, მიუხედავად იმისა, რომ პირის გონებრივი მდგომარეობისა და ფსიქიატრიული მკურნალობის შესახებ კონფიდენციური ინფორმაციის ნებისმიერი მოთხოვნა ჩვეულებრივ შეადგენს პირად ცხოვრებაში ჩარევას, ამ საქმეში არ მომხდარა ასეთი ჩარევა. მთავრობამ მიუთითა იმ ფაქტზე, რომ მოთხოვნა მოხდა სასამართლოს მიერ და არა, მაგალითად, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ, და ის მიზნად არ ისახავდა მიღებული ინფორმაციის გავრცელებას. მთავრობა ასევე ამტკიცებს, რომ განმცხადებელმა თავად მოახდინა სასამართლოს სტიმულირება, რომ განეხორციელებინა ეს ღონისძიება, რათა გადაემოწმებინა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი, რომლის ნამდვილობა საეჭვოდ იყო მიჩნეული.

55. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ მოთხოვნილ ინფორმაციას არ ჰქონდა კავშირი ნოვოზავოცის სასამართლოში საქმის განხილვის შედეგთან. ის ასევე ამტკიცებდა, რომ გატარებული ღონისძიება არღვევდა კონსტიტუციას, რომელიც უკანონოდ მიიჩნევს მას, კონვენციის მე-8 მუხლის გაგებით.

2. სასამართლოს შეფასება

a. იყო თუ არა ჩარევა

56. სასამართლო მიუთითებს, რომ საჯარო ხელისუფლების მიერ ინდივიდის პირადი ცხოვრების შესახებ ინფორმაციის როგორც შენახვა, ისე მისი გამოყენება არის მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტით უზრუნველყოფილი პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებაში ჩარევა (cf. *Rotaru v. Romania* [GC], no. 28341/95, 46-ე პუნქტი, ECHR 2000-V).

57. ამ საქმეში შიდასახელმწიფოებრივმა სასამართლომ მოითხოვა და მიიღო ფსიქიატრიული საავადმყოფოსაგან ინფორმაცია განმცხადებლის გონებრივი მდგომარეობისა და შესაბამისი სამედიცინო მკურნალობის შესახებ. ეს ინფორმაცია მოგვიანებით გაახმაურა მოსამართლემ მხარეებისათვის და სხვა პირებისათვის, რომლებიც იმყოფებოდნენ სასამართლო დარბაზში საჯარო სხდომის დროს.

58. სასამართლო ადგენს, რომ ასეთი დეტალები უდავოდ არის განმცხადებლის „პირად ცხოვრებასთან“ დაკავშირებული მონაცემები და რომ სადავო ღონისძიებას შედეგად მოჰყვა ის, რომ გაფართოვდა იმ პირების რაოდენობა, რომელთათვისაც ცნობილი გახდა ასეთი დეტალები.

ამდენად, სასამართლოს მიერ გატარებული ღონისძიებები შეადგენს ჩარევას განმცხადებლისათვის კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებული უფლებებში (*Z. v. Finland*, 1997 წლის 25 თებერვალის გადაწყვეტილება, *Reports of Judgments and Decisions* 1997-I, 71-ე პუნქტი).

ბ. იყო თუ არა ჩარევა „კანონის შესაბამისად“

59. ძირითადი პასუხგასაცემი საკითხია, გამართლებული იყო თუ არა ჩარევა მე-8 მუხლის მე-2 პუნქტით, კერძოდ, იყო თუ არა ის „კანონის შესაბამისად“ და „აუცილებელი დემოკრატიული საზოგადოებაში“ ერთ-ერთი იმ მიზნისათვის, რომელიც ჩამოთვლილია ამ პუნქტში.

60. სასამართლო იხსენიებს, რომ ფრაზა „კანონის შესაბამისად“ მოითხოვს, რომ გასაჩივრებულ ღონისძიებას უნდა ჰქონდეს გარკვეული საფუძველი შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში (cf. *Smirnova v. Russia*, nos. 46133/99 და 48183/99, 99-ე პუნქტი, ECHR 2003-IX (ამონარიდი)).

61. უნდა აღინიშნოს, რომ სააპელაციო სასამართლო, რომელმაც გადასინჯა საქმე, დაასკვნა, რომ პირველი ინსტანციის მოსამართლის მოქმედებამ განმცხადებლის პირად ინფორმაციასთან დაკავშირებით არ დააკმაყოფილა ის განსაკუთრებული რეჟიმი, რომელიც ვრცელდება კონსტიტუციის 32-ე მუხლისა და მონაცემები შესახებ 1990 წლის კანონის 23-ე და 31-ე მუხლების შესაბამისად ფსიქიატრიულ მონაცემებს მიკუთვნებული ინფორმაციის შეგროვებაზე, შენახვაზე, გამოყენებასა და გავრცელებაზე, რაც მთავრობას სადავოდ არ გაუხდია (ზემოხსენებული 25-ე პუნქტი). უფრო მეტიც, სასამართლო აღნიშნავს, რომ სადავო დეტალებს არ შეეძლო, გავლენა მოეხდინა სასამართლო პროცესის შედეგზე (ანუ იმის დადგენა გაკეთდა თუ არა სადავო განცხადება და იმის შეფასება იყო თუ არა ის შეურაცხმყოფელი; შეადარე და დაუპირისპირე, *Z. v. Finland*, ზემოთციტირებული, 102-ე და 109-ე პუნქტები), ნოვოზავოცკის სასამართლოს მოთხოვნა ინფორმაციის მიღების შესახებ იყო ზედმეტი, რადგან ეს ინფორმაცია არ იყო „მნიშვნელოვანი მოკვლევისათვის, წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო განხილვისათვის“, და, შესაბამისად, უკანონო იყო ფსიქიატრიული სამედიცინო მომსახურების შესახებ 2000 წლის კანონის მე-6 მუხლის მიზნებისათვის.

62. სასამართლო ადგენს, რომ ზემოთ მოცემული მიზეზების გამო დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი. მას არ მიაჩნია საჭიროდ, განიხილოს შესრულდა თუ არა ამ ღონისძიების მიმართ ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სხვა პირობები.

III. კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის სავარაუდო დარღვევა

63. განმცხადებელი ასაჩივრებს, რომ ხელისუფლების უარი, აენაზღაურებინა ზიანი „უკანონო სისხლისსამართლებრივი დევნისათვის კომპენსაციის“ სქემის მიხედვით, ეწინააღმდეგება უდანაშაულობის

პრეზუმპციას. განმცხადებელი დაეყრდნო კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტს, რომელიც ადგენს შემდეგს:

„ყოველი პირი, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, ითვლება უდანაშაულოდ, ვიდრე მისი ბრალეულობა არ დამტკიცდება კანონის შესაბამისად“.

64. მთავრობა ამტკიცებდა, რომ არ დარღვეულა მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი, რადგან პროკურატურის გადაწყვეტილება, დაეხურა საქმე არამარეაბილიტირებელი საფუძველით, განხილულ იქნა და საბოლოოდ დადასტურდა სასამართლოს მიერ. განმცხადებელი არ დაეთანხმა.

65. სასამართლო ადასტურებდა, რომ კონვენცია უნდა განიმარტოს ისე, რომ უზრუნველყოს უფლებები, რომლებიც პრაქტიკული და ეფექტიანია და არა თეორიული და ილუზორული (e.g., *Multiplex v. Croatia*, no. 58112/00, 44-ე პუნქტი, 2003 წლის 10 ივლისი); რომ ეს ასევე ეხება მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით განმტკიცებულ უფლებას (იხ. *Allenet de Ribemont v. France*, 1995 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილება, Series A, no. 308, 35-ე პუნქტი).

66. სასამართლო იხსენიებს, რომ მის მიერ დამკვიდრებული პრეცედენტული სამართლის მიხედვით, კონვენციის არც მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი და არც ნებისმიერ სხვა დებულება არ ანიჭებს პირს, რომელსაც აქვს „წარდგენილი სისხლისსამართლებრივი ბრალდება“, უფლება მიიღოს კომპენსაცია თავისი დანახარჯებისათვის ან უფლება კომპენსაციის მიღებაზე კანონიერი პატიმრობისათვის, როდესაც მის მიმართ სამართალწარმოება შეტყდა (*Narciso Dinares Peñalver v. Spain* (dec.), no. 44301/98, 2000 წლის 23 მარტი; ასევე *Englert v. Germany*, 1987 წლის 25 აგვისტოს გადაწყვეტილება, Series A no. 123-B, 36-ე პუნქტი, და *Sekanina v. Austria*, 1993 წლის 25 აგვისტოს გადაწყვეტილება, Series A no. 266-A, 25-ე პუნქტი). მხოლოდ ის ფაქტი, რომ კომპენსაციის გაცემაზე პირს უარი ეთქვა თავისთავად არ არღვევს უდანაშაულობის პრეზუმპციას (*mutatis mutandis*, უკვე მოხსენიებული გადაწყვეტილებები საქმეებზე *Nölkenbockhoff* და *Minelli*, შესაბამისად 36-ე და 34/35-ე პუნქტები).

67. თუმცა, სასამართლოს პრეცედენტული სამართალი ასევე ადგენს, რომ უდანაშაულობის პრეზუმფცია ირღვევა, თუ სასამართლო გადაწყვეტილება იმ პირის შესახებ, ვისაც ბრალი ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში, ასახავს მოსაზრებას, რომ ის ბრალეულია, მიუხედავად იმისა დამტკიცებულია თუ არა მისი ბრალეულობა, კანონის შესაბამისად. საკმარისია აღინიშნოს, რაიმე ფორმალური დასკვნის არარსებობის შემთხვევაშიც კი, რომ არსებობს გარკვეული საფუძველი იმისა, რომ სასამართლომ ბრალდებული მიიჩნიოს ბრალეულად. მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის ფარგლები მით უმეტეს არ არის შეზღუდული მიმდინარე სისხლისსამართლებრივი პროცესით, მაგრამ ვრცელდება სასამართლო გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიღებულია მას შემდეგ, რაც დევნა შეწყდა (იხ. *Minelli v. Switzerland*, 1983 წლის 25 მარტის გადაწყვეტილება, Series A no. 62; ადრე მოხსენიებული *Englert*-ის

გადაწყვეტილება; *Nölkenbockhoff v. Germany*, 1987 წლის 25 აგვისტოს გადაწყვეტილება, Series A no. 123-C; და *Capeau v. Belgium*, no. 42914/98, 25-ე პუნქტი, ECHR 2005-I) ან გამამართლებელი გადაწყვეტილების შემდეგ (იხ., განსაკუთრებით უკვე მოხსენიებული *Sekanina* გადაწყვეტილება; *Rushiti v. Austria*, no. 28389/95, 2000 წლის 21 მარტი; *Lamanna v. Austria*, no. 28923/95, 2001 წლის 10 ივლისი; *O. v. Norway*, no. 29327/98, ECHR 2003-II; და *Hammern v. Norway*, no. 30287/96, 2003 წლის 11 თებერვალი).

68. შესაბამისად, სასამართლოს მოეთხოვება, განსაზღვროს წინამდებარე საქმეში განმცხადებლის წინააღმდეგ სისხლის სამართლის პროცესის შედეგი და მოგვიანებით უკანონო დევნისათვის კომპენსაციის მოთხოვნაზე უარი იძლევა თუ არა ეჭვის წარმოშობის საფუძველს განმცხადებლის უდანაშაულობასთან დაკავშირებით, მიუხედავად იმისა, რომ არ დამტკიცებულა მისი ბრალეულობა.

69. სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებლის საქმე შეწყდა წინასწარი გამოძიების ეტაპზე საგამოძიებო ორგანოების მიერ იმის გამო, რომ განმცხადებლის მიერ ჩადენილი დანაშაულის უმნიშვნელო ხასიათი გამო დევნა მიზანშეუწონელი იყო. ეროვნული სასამართლოები, რომლებმაც გადასინჯეს ეს საქმე, დათანხმდნენ, რომ საქმის მასალებში არსებული (დაუსახელებელი) მტკიცებულება საკმარისი იყო დასკვნის გასაკეთებლად, რომ განმცხადებელმა ჩაიდინა დანაშაული, ისევე როგორც ამ დანაშაულის უმნიშვნელო ხასიათი.

70. მართალია, რომ შესაძლებელია ეჭვის გაუდერება ბრალდებულის უდანაშაულობის შესახებ, თუ სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოების შესახებ დასკვნას შედეგი არ მოჰყოლია ბრალდების არსებით მხარესთან დაკავშირებით (*Sekanina*, ზემოთმოყვანილი, 30-ე პუნქტი). თუმცა, 2001 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებაში ნოვოზავოცკის სასამართლომ უარი განაცხადა განმცხადებლის მიერ კომპენსაციის მოთხოვნაზე იმ ფაქტზე დაყრდნობით, რომ მის მიმართ სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოება შეტყვევებულია არამარეაბილიტირებელი საფუძველით (იხ. ზემოთმოყვანილი 28-ე პუნქტი). ეს გადაწყვეტილება დაადასტურა სააპელაციო სასამართლომ მას შემდეგ, რაც განმცხადებლის საჩივარზე იმ გადაწყვეტილების შესახებ, რომელიც ითვალისწინებდა სისხლისსამართლებრივი დევნის შეტყვევებას არამარეაბილიტირებელი საფუძველით, საბოლოოდ უარი ეთქვა (იხ. ზემოხსენებული მე-19 პუნქტი). სასამართლო არ მიიჩნევს საჭიროდ წინამდებარე საქმეზე განსაზღვროს, იყო თუ არა პრინციპში კომპენსაციის გაცემაზე უარი იმ მიზეზით, რომ სისხლისსამართლებრივი პროცესი შეწყდა „არამარეაბილიტირებელი“ საფუძველით, თავისთავად უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევა. ის აღნიშნავს, რომ ამ საქმეზე სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც განმცხადებლის მიმართ სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოების შეტყვევებას ითვალისწინებდა, ფორმულირებულია ისეთი ტერმინოლოგიით, რომელიც არ იძლეობა ეჭვის საფუძველს მათი შეხედულების შესახებ, რომ განმცხადებელმა ჩაიდინა დანაშაული, რაშიც ის ბრალდებული იყო. კერძოდ, დესნიანსკის სასამართლომ მიუთითა, რომ გამოძიების შესახებ

საქმის მასალები შეიცავდა საკმარის მტკიცებულებას იმის დასადგენად, რომ განმცხადებელმა გააყალბა ნოტარიალური დოკუმენტი და შეგნებულად განახორციელა უკანონო სანოტარო მოქმედება, მისი ერთდერთი მიზეზი სამართალწარმოების შეწყვეტისათვის იყო დევნის მიზანშეუწონლობა დანაშაულის უმნიშვნელო ხასიათის გამო. ეს გადაწყვეტილება დადასტურდა სააპელაციო სასამართლოში, ხოლო უზენაესმა სასამართლომ უარი განუხცადა განმცხადებელს საკასაციო წესით საქმის გასაჩივრებაზე. სასამართლოს აზრით, დესნიანსკის სასამართლოს მიერ გამოყენებული ფორმულირება თავისთავად საკმარისი იყო, რომ ჩათვლილიყო უდანაშაულობის პრეზუმპციის დარღვევა. ის ფაქტი, რომ განმცხადებლის მოთხოვნაზე კომპენსაციის მიღებაზე უარი განაცხადეს იმ საფუძველზე, რომ სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოებისას გაკეთებულმა დასკვნებმა მხოლოდ და მხოლოდ გაამწვავა მდგომარეობა. მიუხედავად იმისა, რომ დესნიანსკის სასამართლომ გააკეთა დასკვნა მას შემდეგ, რაც ჩატარდა სხდომა განმცხადებლის თანდასწრებით, მანამდე მიმდინარე სამართალწარმოება თავისი ბუნებით არ იყო სისხლისსამართლებრივი და მას აკლდა რიგი საკვანძო ელემენტებისა, რაც ახასიათებს სისხლისსამართლებრივ პროცესს. ამ თვალსაზრისით, არ შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ ამ სასამართლოში მანამდე მიმდინარე სამართალწარმოებას შედეგად მოჰყვა, ან განზრახული იყო, მოჰყოლოდა ის, რომ დამტკიცდებოდა განმცხადებლის ბრალეულობა. ასეთ გარემოებებში, სასამართლო მიიჩნევს, რომ დესნიანსკის სასამართლოს მიერ მოყვანილი მიზეზები, რომლებიც დადასტურდა გასაჩივრების ეტაპზე, რასაც ემატება კომპენსაციაზე განმცხადებლის მოთხოვნაზე უარი იმავე მიზეზებით, შეადგენს უდანაშაულობის პრეზუმპციის დარღვევას.

71. დასკვნის სახით, დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი.

IV. კონვენციის მე-13 მუხლის სავარაუდო დარღვევა

72. კონვენციის მე-13 მუხლის საფუძველზე განმცხადებელი ჩივის მე-8 მუხლის დარღვევასთან დაკავშირებით დაცვის ეფექტიანი საშუალების უფლების სავარაუდო არარსებობას.

73. კონვენციის მე-13 მუხლი ადგენს:

„ყველას, ვისაც დაერღვა ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები, უნდა ჰქონდეს სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალება ეროვნული ხელისუფლებისაგან, თუნდაც ეს დარღვევა ჩაიდინოს პირმა, რომელიც სამსახურებრივ უფლებამოსილებას ახორციელებდა.“

1. მხარეთა პოზიციები

74. მთავრობა ამტკიცებს, რომ განმცხადებელს შეეძლო სადავო გაეხადა ჩხრეკის კანონიერება ზემდგომ პროკურორთან ან სასამართლოში პროცესის დროს. თუ მას გაამართლებდნენ წაყენებულ ბრალდებასთან

დაკავშირებით, მას ექნებოდა შესაძლებლობა მიეღო კომპენსაცია უკანონო დევნისათვის. რაც შეეხება სასამართლოს მოთხოვნას, მიეღო ინფორმაცია მისი ფსიქიატრიული ისტორიის შესახებ, მთავრობის აზრით, განმცხადებელს შეეძლო წამოეჭრა ეს საკითხი ამ განაჩენის წინააღმდეგ სააპელაციო საჩივარში.

75. განმცხადებელი არაეფექტიანად მიიჩნევს სამართლებრივი დაცვის ამ საშუალებებს.

2. სასამართლოს შეფასება

a. ზოგადი პრინციპები

76. სასამართლო იხსენიებს, რომ კონვენციის მე-13 მუხლი უზრუნველყოფს ეროვნულ დონეზე დაცვის საშუალებების ხელმისაწვდომობას, რათა მოხდეს კონვენციისეული უფლებებისა და თავისუფლებების აღსრულება, მიუხედავად იმ ფორმისა, რა ფორმითაც ეს შეიძლება უზრუნველყოფილი იყოს შიდასახელმწიფოებრივ სამართლებრივ სისტემაში. ამდენად, მე-13 მუხლის არსი ის არის, რომ მოითხოვს შიდასახელმწიფოებრივი დაცვის საშუალების არსებობა, რომლის მიზანი იქნება „სადავო საჩივრის“ შინაარსზე მსჯელობა და რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი მდგომარეობის შემსუბუქებას, მიუხედავად იმისა, რომ ხელშემკერელ სახელმწიფოებს ენიჭებათ გარკვეული დისკრეცია იმ საშუალებასთან დაკავშირებით, რომლითაც ისინი შეასრულებენ კონვენციისეულ ვალდებულებებს ამ დებულების მიხედვით (*Kaya v. Turkey*, 1998 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილება, *Reports of Judgments and Decisions* 1998-I, გვ. 329-30, 106-ე პუნქტი).

77. მე-13 მუხლიდან გამომდინარე ხელშემკერელი სახელმწიფოების ვალდებულებების ფარგლები მერყეობს განმცხადებლის საჩივრის ხასიათიდან გამომდინარე; თუმცა, მე-13 მუხლით გათვალისწინებული დაცვის საშუალება უნდა იყოს „ეფექტიანი“ პრაქტიკაში, ისევე როგორც კანონმდებლობის მიხედვით (cf. *Kudla v. Poland* [GC], no. 30210/96, 157-ე პუნქტი, ECHR 2000-XI). ასეთი სამართლებრივი საშუალების არსებობა უნდა იყოს საკმარისად ცხადი არა მხოლოდ თეორიულად, არამედ ასევე პრაქტიკულად, რისი შეუსრულებლობის შემთხვევაშიც იარსებებს აუცილებელი ხელმისაწვდომობისა და ეფექტიანობის ნაკლებობა (იხ. *inter alia*, *Mifsud v. France* (dec.) [GC], 57220/00, ECHR 2002-VIII).

b. ჩხრეკა

78. რამდენადაც მთავრობამ მოიშველია იმის შესაძლებლობა, რომ პირმა მიიღოს ანაზღაურება კომპენსაციის გზით უკანონო დევნის სქემის მიხედვით, სასამართლო არ თვლის, რომ ეს პროცედურა შესაფერისია ამ საქმისათვის (*Afanasyev v. Ukraine*, no. 38722/02, 77-ე პუნქტი, 2005 წლის 5 აპრილი). კერძოდ, ის აღნიშნავს, რომ განმცხადებლის საჩივარი,

რომელიც ამას ისახავდა მიზნად, უარყოფილ იქნა ზუსტად იმ მიზეზით, რომ მისი სისხლის სამართლის საქმე შეწყდა არამარეაბილიტირებელი საფუძვლით.

79. რაც შეეხება სასამართლო განხილვის დროს ჩხრეკის კანონიერებაზე დავის შესაძლებლობას, უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც ეს ზემოთ მიეთითა კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით, განმცხადებლის საქმის არსებითი მხარე არასოდეს განხილულა. ის შეწყდა სასამართლო განხილვის სტადიამდე და შემდგომი სასამართლო გადასინჯვა ეხებოდა წმინდა პროსეკუტორ საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია მოცემულ საფუძველზე სისხლის სამართლის საქმის დახურვას გამომძიებლის მიერ. შესაბამისად, ამ პროცესებს არ და ვერ შეეძლოთ მოეცვათ კონკრეტული საგამომძიებო მოქმედების კანონიერების შეფასება.

80. სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ განმცხადებელს შეეძლო მიემართა ზემდგომი პროკურორისათვის, რათა მისი სამსახურებრივი სათავეს ჩხრეკა უკანონოდ გამოეცხადა. სასამართლო იხსენიებს, რომ მე-13 მუხლში მოშველიებული „ხელისუფლება“ მაინცდამაინც სასამართლო ხელისუფლება არ უნდა იყოს და, თუ ის არ არის, მისი უფლებამოსილება და გარანტიები, რომელსაც ის უზრუნველყოფს, ადეკვატური უნდა იყოს იმის დასადგენად, არის თუ არა დაცვის საშუალება ეფექტიანი (*Kudla*, ზემოთმოსხენიებული, 157-ე პუნქტი). თუმცა წინამდებარე საქმეში სასამართლო აღნიშნავს, რომ ისიც კი რომ ვივარაუდოთ, რომ პროკურორს აქვს საჭირო დამოუკიდებლობა, დაცვის ეს საშუალება ვერ შეძლებს, რაიმე შვება მისცეს განმცხადებელს (ზემოთმოსხენიებული 30-ე პუნქტი).

81. შესაბამისად, სასამართლო მიიჩნევს, რომ წინამდებარე საქმეში დაირღვა კონვენციის მე-13 მუხლი იმით, რომ განმცხადებელს არ ჰქონდა დაცვის შიდასახელმწიფოებრივი საშუალება, რომლის მეშვეობით მას შეეძლო ესარგებლა თავისი საცხოვრებლის პატივისცემით უფლება, რომელიც უზრუნველყოფილია კონვენციის მე-8 მუხლით.

c. ფსიქიატრიული ხასიათის ინფორმაციის გამჟღავნება

82. მთავრობამ თავის წინასწარ შეპასუხებაში მიუთითა განმცხადებლის უფლებაზე, ეთხოვა სასამართლოსათვის თავისი საქმის დახურულ სხდომაზე განხილვა. სასამართლო აღნიშნავს, რომ ეროვნული კანონმდებლობა არ ითვალისწინებს, რომ აუცილებელია, რომ მხარის მოთხოვნა არსებობდეს საქმის *in camera* მოსმენისათვის; სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით გასცეს ასეთი ბრძანება (ზემოთმოსხენიებული 32-ე პუნქტი). თუმცა კანონმდებლობა ავალდებულებს ხელისუფლებას, გაატაროს ყველა შესაძლო ღონისძიება, რომ დაიცვას ინდივიდთა პირადი ცხოვრება ზედმეტი ჩარევისაგან (ზემოთმოსხენიებული 29-ე პუნქტი).

უფრო მეტიც, საზოგადოების დასწრება სასამართლო დარბაზში, როდესაც მოსამართლე აუღერებს ინფორმაციას, რომელიც მან

ფსიქიატრიული საავადმყოფოდან მიიღო მხოლოდ ერთ-ერთი ელემენტი იყო, რამაც მოახდინა გავლენა განმცხადებლის პირად ცხოვრებაზე. კერძოდ, ასეთი მოთხოვნა, იმ შემთხვევაშიც კი თუ ის დაკმაყოფილდებოდა, ვერც მხარეებისა და მათი წარმომადგენლებისათვის სხდომაზე გამჟღავნებული ინფორმაციის კონფიდენციალურობას უზრუნველყოფდა და ვერც შეზღუდავდა საქმის მასალის ხელმისაწვდომობას.

83. რაც შეეხება სააპელაციო ინსტანციაში შესაბამისი საჩივრით მიმართვის შესაძლებლობას, სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებელმა წარმატებით ისარგებლა დაცვის ამ საშუალებით, რომელიც, არაეფექტიანი აღმოჩნდა, რადგან უკანონობის დადგენას შედეგად არ მოჰყოლია კონფიდენციალური ფსიქიატრიული მონაცემების გამჟღავნების შეწყვეტა სასამართლო საქმის მასალებში ან განმცხადებლისათვის რაიმე კომპენსაციის გაცემაში იმ ზიანისათვის, რომელიც მან განიცადა მის პირად ცხოვრებაში უკანონო ჩარევის გამო.

84. ამ მოსაზრებების გათვალისწინებით, სასამართლო უარს აცხადებს მთავრობის წინასწარი შეპასუხებაზე და ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-13 მუხლი.

V. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

85. კონვენციის 41-ე მუხლი ადგენს:

„თუ სასამართლო დაადგენს, რომ დაირღვა კონვენცია და მისი ოქმები, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშეკრული მხარის შიდასახელმწიფოებრივი სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს.“

A. ზიანი

86. განმცხადებელი მოითხოვს 232,400 ევროს (EUR) მატერიალური და არამატერიალური ზიანისათვის.

87. მთავრობა თვლის, რომ ეს ოდენობა მეტისმეტი და დაუსაბუთებელია.

88. სასამართლოს პრეცედენტული სამართალი ადგენს, რომ უნდა არსებობდეს აშკარა შედეგობრივი კავშირი განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი ზიანის ანაზღაურებასა და კონვენციის დარღვევას შორის (სხვა საქმეებთან ერთად, *Barberà, Messegue and Jabardo v. Spain* (ყოფილი 50-ე მუხლი), 1994 წლის 13 ივნისი, Series A no. 285-C, გვ. 57-58, მე-16-მე-20 პუნქტები; *Cakici v. Turkey*, 1999 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილება, ECHR 1999-IV, 127-ე პუნქტი). სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებლის ბინის უკანონო ჩხრეკის შედეგად წარმოშობილი ზიანი დაადგინა ნოვოზაგოცკის სასამართლომ 2000 წლის 28 აგვისტოს. ამის საფუძველზე სასამართლო მიიჩნევს სამართალიანად, მიანიჭოს განმცხადებელს 2,315

EUR მატერიალური ზიანისათვის. სასამართლო ასევე ადგენს, რომ მიაღწიოს 3,000 EUR არამატერიალური ზიანისათვის.

B. ხარჯები

89. განმცხადებელს დადგენილ ვადაში არ წარმოუდგენია რაიმე მოთხოვნა ამ თავის შესაბამისად; ამიტომ, სასამართლო არაფერს ანიჭებს ამ თვალსაზრისით.

C. საპროცენტო განაკვეთი

90. სასამართლო თვლის, რომ საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ევროპის ცენტრალური ბანკის სესხის საშუალო განაკვეთის ოდენობით, პლიუს სამი პროცენტი.

ამის საფუძველზე სასამართლო ერთსულოვნად

1. აცხადებს განაცხადს დასაშვებად;

2. ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი განმცხადებლის სამსახურებრივი სათავსოს ჩხრეკისა და მის შესახებ ფსიქიატრიული ხასიათის კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების გამო;

3. ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი;

4. ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-13 მუხლი;

5. ადგენს,

(a) რომ მოპასუხე სახელმწიფომ უნდა გადაუხადოს განმცხადებელს კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან სამი თვის განმავლობაში შემდეგი თანხები, რასაც ემატება ნებისმიერი გადასახადი, რომელიც ამ თანხას შეიძლება დაეკისროს, ეროვნულ ვალუტაში გაცემის დღეს არსებული კურსის მიხედვით:

(i) 2,315 EUR (ორი ათას სამასთხუთმეტი ევრო) მატერიალური ზიანისათვის;

(ii) 3,000 EUR (სამი ათასი ევრო) არამატერიალური ზიანისათვის;

(b) რომ ზემოხსენებული სამი თვის გასვლის შემდეგ უნდა იყოს გადახდილი საპროცენტო განაკვეთი, რომელიც განისაზღვრება ევროპის ცენტრალური ბანკის სესხის საშუალო განაკვეთის ოდენობით, პლიუს სამი პროცენტი.

6. უარს აცხადებს მოსარჩელის დანარჩენ მოთხოვნაზე სამართლიანი დაკმაყოფილების შესახებ.

შესრულებულია ინგლისურ ენაზე და წერილობით გაცხადებულია 2006 წლის 29 ივნისს, სასამართლოს რეგლამენტის 77-ე წესის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად.

კლაუდია წესტერდაიკი
რეგისტრატორი

პირ ლორენცენი
პრეზიდენტი